დანართი №2

,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი წევრი: ხათუნა ფარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეა“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 სექტემბრის MES 6 22 0001068039 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,პანაცეა“ პროფესიული საგანამანთელბლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2022 წლის 21 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,პანაცეა“ (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N2). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები/პრაქტიკის ობიექტები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულებაში ვიზიტსას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ორი განმავითრებელი რეკომენდაცია:

1. 2.2.1-3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამის დანართში ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამკერვალო წარმოება განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ მოდულის ,,ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია“ განმახორციელებელია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, თუმცა ერთ- ერთ განმახორციელებელ პირს, წარმოდგენილ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, არ უდასტურდებოდა პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელების მდგრადობა ეჭვქვეშ არ დგება, ვინაიდან აღნიშნულ მოდულის განხოციელებითვის გათვალისწინებულია კიდევ სამი პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო აღნიშნული პირის სამუშაო გამოცდილება არ იყო საკმარისი მოდულის სრულყოფილად განხორციელებისთვის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შემდგომი განვითარების მიზნით, დაწესებულებას განეხორციელებინა ცვლილება პროგრამის დანართში ,,პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

საგანმანათლებლო პროგრამის სამკერვალო წარმოება განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ და ზემოხსენებული პირი ამოეღო პროგრამის განმახორციელბელთა სიიდან. დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა ბრძანება (06.10.2022. N389), ზემოაღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებლთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

2. 2.4.1-5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯი „პანაცეა“ თანამშრომლობს შემდეგ დაწესებულებებთან: ,,შპს პრემიერატმ“და შპს ,,უნისტილი“. გაფორმებულ ხელშეკრულების მე- 4 მუხლში (მხარეთა უფლებები და ვალდებულებები) პარტნიორი კომპანია იღებდა ვალდებულებას უზურნველყო პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის მოდულების გათავლისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების შესაძლებლობა პროფესიული სტუდენტებისათვის. გამოეყო სამუშაო სივრცე და ინსრტუქტორი პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ზემოაღნიოშნული მოდულების გახორციელება საწარმოს მიერ უზურუნველყოფილი იქნებოდა შესაბამისი მასალა- ნედლეულით, თუმცა ხელშეკრულებაში მსგავსი ჩანაწერი არ ფიქსირდებოდა. ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პარტნიორ საწარმოებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეეტანა ცვლილება, დაეზუსტებინა მე-4 მუხლში მოცემული ჩანაწერი და აესახა პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ. დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა ხელშეკრულების დანართები (05.10.2022წ) ორივე საწარმოსთან, სადაც დაზუსტებულია ჩანაწერი და მითითიებულია პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მასალა ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მე-3
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება №199 23.08.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი, თ. ერისთავის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების მე-2 მუხლის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავება, დამატება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება) მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის დროს კოლეჯი ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და სხვ. წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს. კოლეჯის მიერ წარმოდგელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში მოცემულია როგორც პსდ-ს მიერ ჩატარებული ასევე სხვადასხვა ორგანიზაცების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. მაგალითად :ბიზნეს სექტორის სტატისტიკის შესაბამისად, შრომის ბაზარზე სფეროების მიხედვით ყველაზე მსხვილ დამსაქმებელთა სამეულში შედიან სამკერვალო ფაბრიკები (25%), სამშენებლო კომპანიები (25%) და HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კვება) სექტორი (19.6.%) ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა – 2020“, აჩვენა რომ, ISCO-ს ძირითად პროფესიულ ჯგუფებში დასაქმებულები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით პირველი ტოპ ხუთეულში შედიან: მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები (4,224 პირი). კვლევის ანალიზისას იკვეთება, რომ ქვეყანაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიება. ხშირია კადრების გადინება საზღვარგარეთ, ამიტომ დამსაქმებელთათვის პროფესიონალი კადრების დეფიციტია და შესაბამისად მათი მხრიდან გაზრდილია მოთხოვნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამისა და მომზადების/გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

პროგრამის განხორციელების დაგეგმვისას დაწესებულებამ გაანალიზა თავისი შესაძლებლობები მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ. დაიმატა სასწავლო ფართი სასწავლო გარემოსთვის, ხელშეკრულება გააფორმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის განმახორციელებელ საწარმოებთან და გამოყო ფინანასური რესურსი პროგრამის განხორციელებისათვის. პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომელიც ითვალისიწნებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, კოლეჯის ძირითადი პროფილის შენარჩუნებით, უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზება. სტრაგეგიული გეგმის პირველ მიზანს წარმოადგენს - შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამებით, ხოლო 1-ლი სტრატეგიული ამოცანაა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული დაშვების წინაპირობისა.

დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები კი განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, რეგისტრაციას, შერჩევას, საკონკურსო კომისიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

ჩამოყალიბებას, აპლიკანტთა გასაუბრებას და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ითვალისწინებს კოლეჯის და განსახორციელებელი პროგრამის სპეციფიკას. აღნიშნული წესის თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ან გაზრდისას მხედველობაში მიიღება: A,B,C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა; პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა; ადამიანური რესურსი; პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი და გამტარუნარიანობა. (პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩასარიცხ პირთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, ხოლო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. ექსპერტთა ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანამანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება" არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება" დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა"–ს დირექტორის 2022 წლის 23 აგვისტოს N199 ბრძანებით, პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა"–ს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით" მუხლი 2 პუნქტი 2.8; შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,სამკერვალო წარმოება" იდენტურია ჩარჩო დოკუმენტისა, შესაბამისია პროგრამის შინაარსის, მისაღწევი სწავლის შედეგების და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება" შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. (07120-პ) პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები, პროგრამის მოცულობა, დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულის (A2;).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა (23.08.2022 N199)
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „პანაცეა“ „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,პანაცეა“ მისია;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,პანაცეა“ სტრატეგიული გეგმა;
- ✓ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტების მიერ დათვალიერდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული A,B,C გარემოები. შენობის მე-4 სართულზე განთავსებულია ერთი A/C, ორი A და ერთი B გარემო. კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვული რაოდენობაა 30 (1 მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტი). დაწესებულებას იჯარით აქვს აღებულია აღნიშნული პროგრამისთვის განსაზღვრული ფართი.

A გარემოში- განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტის და ერთი მასწავლებლის სამუშაო ადგილი, მასწავლებლის კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება და სასწავლო პლაკატები.

A/C- გარემოში განთავსებულია სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, მასწავლებლის სამუშაო ადგილი, მასწავლებლის კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება. ექპერტებმა ადგილზე დეტალურად გადაამოწმეს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები.

B – გარემოში განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, მასწავლების სამუშაო ადგილი, დემონსტრირების საშუალება. აღნიშნული გარემო გათვალისწინებულია მხოლოდ ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული პროგრამისთვის.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი პარტნიორი საწარმო, რომლეთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება (,,შპს პრემიერატმ“ და შპს ,,უნისტილი“). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროფესიული საგანამანთალებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ თანაგანხორციელება. ხელშეკრულების თანახმად, შპს ,,უნისტილი“-ის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები: ,,გაცნობითი პრაქტიკა“, ,,ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“, ,,მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“, ,,ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულება“, ,,პრაქტიკული პროექტი“ და საწარმოო პროაქტიკა“. შპს ,,პრემიერატმ“- ის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები: ,,გაცნობითი პრაქტიკა“, ,,ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“, ,,მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“, ,,პრაქტიკული პროექტი“ და საწარმოო პროაქტიკა“. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელის არსებობაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა ორივე პრაქტიკის ობიექტზე.

დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი);

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება" განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განმახორციელებელია 13, ხოლო პროფესიული მოდულების - 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შესაბამისად მათი რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ახორციელებს რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის პირადი საქმე. პროგრამაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დგინდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. გარდა ამისა, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქტიურად ატარებენ ტრენინგებს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

განათლების მასწავლებლებისათვის შეფასების საკითხებზე.
დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
პროფესიული საგანამანთლელბლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ ხელმძღვანელია. მას აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენატაციით. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, რომელსაც იცნობს ის და ხელმოწერით ადასტურებს. გასაუბრებისას დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო ჩართული პროგრამის ადაპტირების პროცესში.

დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

ექპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა ბიბილიოთეკაში. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებსშესაძლებლო აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულბით (თავი 3 მუხლი 12). წესის თანახმად სასსწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიულ მასწავლებელთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინტერესების გათვალისწინებით. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს სასწავლო რესურსების ადაპტირების და ხელმისაწვდომობის საკითხებს სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით, პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 6 პროფესიულ სტუდენტს, სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე, დათვლილია მიღებული შემოსავლები და ხარჯები.შემოსავლების მთავარი წყარო სწავლის საფასური - ვაუჩერი დაფინანსებაა, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება და პროგრამის სასწავლო მასალების, მასალა-ნედლეულის ღირებულება კომუნალური და სხვა ხარჯი. აქედან გამომდინარე დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ✓ პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“
- ✓ მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ✓ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 02 თებერვლის N38 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც ეფუძნება ხარისხის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე). აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძვლზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კმაყოფილების კვლევის კითხვარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) ფორმებს სასწავლო პროცესის, პროგრამების განხორციელების ხარისხის, პროფესიული მასწავლებელის მიერ სასწავლო პროცეისის ხარისხის, სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ხარისიხს სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის



კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განახორციელებას საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში, გაწერილი პროცედურების შესაბამისად. განათლების ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, იგეგმება სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 02 თებერვლის N38 ბრძანება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექნიზმები“.
- ✓ პროფესიული საგანამანთლებლო საქმიანობის დებულება
- ✓ ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ პსდ-ს შედგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანამანთელბლო საქმიანობის დებულებაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება არსებული რეგულაციების თანახმად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებსა და საჭიროებებს.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლები შესამამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით - (თავი 3 მუხლი 19) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

კოლეჯი „პანაცეა“ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, ,,შპს პრემიერატმ“ და შპს ,,უნისტილი“. გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოცემულია მოდულების ჩამონათვალი და მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები. ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, პარტნიორი ორგანიზაციების სხვა უფლება–ვალდებულებები.

ხელშეკრულების მე- 4 მუხლში (მხარეთა უფლებები და ვალდებულებები) პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას უზურნველყოს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის მოდულების გათავლისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების შესაძლებლობა პროფესიული სტუდენტებისათვის. გამოყოს სამუშაო სივრცე და ინსრტუქტორი პროფესიული სტუდენტებისათვის. ხელშეკრუელბა უვადოა და ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილება (ერთი თვით ადრე).

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. A/C გარემოში თავლსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთოხების დაცვის წესები. ხოლო პრაქტიკის ობიექტებტან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულია რომ კომპანია იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს უსაფრთხოების ნორმები.

აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სასწავლო გეგმები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება
- ✓ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან
- ✓ ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერების შედეგები)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას (თავი 4), სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი.

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დარგის სპეციალისტები. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით იგეგმება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ვინა არის პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები (მ.შ. რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

დაწესებულების პროფესიული საქმიანობის დებულების 33 - მუხლში მოცემულია ,,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების შენახვა და განკარგვა“, რომლის მიხედვითაც მოდულის მიმდინარეობის განმავლობაში სტუდენტის დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის სამსახურში და მოდულის დასრულების შემდეგ მტკიცებულებები აღრიცხულ უწყისთან ერთად ბარდება სასწავლო პროცესის სამსახურს და ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საქმიანობის დებულებაში გაწერილია, როგორც განმსაზღვრელი შეფასება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება;
- ✓ შეფასების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ✓ გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- ✓ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

11.10.2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის